ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 63243043**
თარიღი:**30/10/2024**

ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (1123.00 კვ.მ.) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.დ“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე–2 მუხლის ,,ი“–ქვეპუნქტისა და 34–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განიხილა ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (1123.00 კვ.მ.) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (1123.00 კვ.მ.) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობები განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტებად.

1.2. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (1123.00 კვ.მ.) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.3. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (1123.00 კვ.მ.) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 300 (სამასი) ლარი.

1.4. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1123.00 კვ.მ.) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) ლარი.

1.5. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1123.00 კვ.მ.) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 100 (ასი) ლარი.

3.6. პირობად განისაზღვროს, რომ:

3.6.1. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

3.6.2. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

3.6.3. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნული 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ, აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.

3.6.4. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი